27/08/2024

MES 1 24 0001022339

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:
1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

გვანცა ნინიძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

ქეთი მუთიძე- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმი

ნინო ჩიკვაშვილი- სკოლის გენერალური დირექტორი
ნათია კილაძე- სკოლის აღმასრულებელი დირექტორი
თიესა მორჩაძე -ადამიანური რესურსების სამსახურის ხელმძღვანელი

სსიპ - ქალაქ ახმეტის N2 საჯარო სკოლა

ეკატერინე პატარკაცაშვილი- სკოლის დირექტორი

სსიპ-შოთა რუსთაველის სახელობის ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლა

დალი დიასამიძე- სკოლის დირექტორი

სსიპ- ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლა

ნანა მამუკაშვილი -სკოლის დირექტორი

სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სიმონეთის N2 საჯარო სკოლა

თინათინ ბეჟაშვილი-სკოლის დირექტორი

სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ილიაწმინდას საჯარო სკოლა

ნათია ცისკარაული -სკოლის დირექტორი

სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ წიწკანაანთსერის საჯარო სკოლა

ნანა ნინიაშვილი - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

შპს - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმი:
ა) ლიანა კობესაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ელისო შურღაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხათუნა ტოტოჩავა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მანანა ჯაყელი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სოფიო მგალობლიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ვ) ნატო შაინიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თეონა ბერიკაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ხათუნა ქერაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მაკა ყიფშიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) შორენა კაკაბაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ-ქალაქ ახმეტის N2 საჯარო სკოლა:

ა) თინათინ ალავიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო გედეხაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნათია დარსაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ლელა კაკაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნათია ქათამაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარი ჩიმაკაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნანა ჩავლეშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ირმა ხუნდაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ინგა ანდიაშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ქეთევან მეგრელიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).“

სსიპ-შოთა რუსთაველის სახელობის ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლა:

ა) ტარიელ კალანდაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო უგრეხელიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ქეთევან სადრაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ინგა მოსიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ელენე ხუსკივაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნანა ჭავჭანიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ხათუნა რუსიეშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მზევინარ მჟავანაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნათია ორმოცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) თამარ ზედგენიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჯოჯიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ- ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლა:

ა) ლელა ჯაში (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ა) ნატო კვეტენაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ბ) შორენა გაგუა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ მირანდა თურმანიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სოფიო მგალობლიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ვ) ნანა ჩილინგარაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარინე ჩახვაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);
თ) ციცინო გობაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) შორენა ნიკოლეიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ)ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სიმონეთის N2 საჯარო სკოლა:

ა) ნესტან სიხარულიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამთა კვარაცხელია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ლია ბოგვერაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო გავაშელი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო თამარაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) სალომე არაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარინე მორჩილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნანა შალამბერიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მაკა ყიფშიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) თამარ ზედგენიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ხათუნა ბენდელიანი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).".

სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ილიაწმინდას საჯარო სკოლა:

ა)მერი ქვრივიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მარი ფალელაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნანა ავაზაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) თამარ ცხადაია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სალომე ზარქუა (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მარიკა ბოცვაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მეგი კაპანაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ირმა ხუნდაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნინო საღარაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) თამარ ზედგენიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლანა კუჭავა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ წიწკანაანთსერის საჯარო სკოლა:

ა) რაინდი როდონაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თინათინი სიბაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო გოგორელიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) სოფიკო სიუკაევა (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ხათუნა ფანცულაია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) სოფიო გელაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ანგელინა ეფრემიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თ) ნატო კვეტენაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნინელი ცერცვაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ალექსანდრე ლაცაბიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჭანტურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 14 აგვისტოს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. „შპს - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმში“- ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ-ქალაქ ახმეტის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ-შოთა რუსთაველის სახელობის ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ- ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სიმონეთის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ილიაწმინდას საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ წიწკანაანთსერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. შპს - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმი - ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ „შპს - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმში“- ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 01 და 02 ივლისს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ბათუმში, ვახტანგ შამილაძის ქუჩა N30-ში და სურდა განეხორციელებინა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1000 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1000- მოსწავლისთვის.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლიანა კობესაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასებული იყო, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) კი შეფასებული იყო , როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან 3.4 კომპონენტი ასევე „მეტწილად“ იყო შეფასებული. ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. ასევე, დასკვნა მოიცავდა ექსპერტთა მიერ გაცემულ რჩევებს. ექსპერტმა, ასევე გააზიარა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სასკოლო გარემო იყო სრულად ადაპტირებული და სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი, ამასთან, დაწესებულება ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის პარალელურად, საქმიანობის განხორციელებას გეგმავდა პროფესიული განათლების მიმართულებითაც.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, თამარ მამსიკაშვილის, განცხადებით, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის განვითარებისთვის მიზანმიმართულად მუშაობდა და დაინტერესდა რა ნაბიჯები ჰქონდა სკოლას ამ მიმართულებით გადადგმული და

კონკრეტულად რომელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას გეგმავდა სკოლა.
სკოლის გენერალურმა დირექტორმა, ნინო ჩიკვაშვილმა, აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით ცენტრში განაცხადი უკვე გაკეთებული ჰქონდათ და სკოლა ინტერგირებულ პროგრამებს განახორციელებდა კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტს და სთხოვა მეტი დეტალი წარმოედგინათ სკოლის შენობებთან დაკავშირებით.
ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, განაცხადა, რომ სკოლის მფლობელობაში იყო სამი შენობა, საიდანაც ორ, ერთმანეთთან დაკავშირებულ შენობაში განთავსებული იყო საკლასო ოთახები, ამასთან, სკოლის ეზოში იყო დიდი სპორტული მოედანი და საქვაბე.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, განაცხადა, რომ სკოლას ჰქონდა დოკუმენტი, მასწავლებელთა პროფესიული საქმიანობის შეფასებასთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნული იყო, რომ მასწავლებელთა შეფასება ხორციელდებოდა კონკრეტული პლათფორმის საშუალებით. საბჭოს წევრმა, მიმართა სკოლის წარმომადგენელს მეტი დამაზუსტებელი დეტალი წარმოედგინა ამ საკითხთან დაკავშირებით.
სკოლის აღმასრულებელმა დირექტორმა, ნათია კილაძემ, განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი ეხებოდა მასწავლებელთა საქმიანობის შეფასებას, რომლის ფარგლებშიც პედაგოგები პასუხობდნენ კითხვებს წინასწარ მომზადებული კითხვარიდან. რაც შეეხებოდა კონკრეტულად კითხვარის შინაარსს, ნათია კილაძის განმარტებით, არსებობდა რამდენიმე ვარიაცია, რომლის გადახედვა და მოდიფიცირებაც ხდებოდა პერიოდულად საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებლები კი ამის შესახებ მუდმივად იყვნენ ინფორმირებული.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი, დაინტერესდა რა შემთხვევაში დგებოდა კითხვარის შეცვლის საჭიროება, რაზეც სკოლის ადამიანური რესურსების სამსახურის ხელმძღვანელმა თიესა მორჩაძემ აღნიშნა, რომ კითხვარის გადახედვა და მოდიფიცირება ხდებოდა იმ პედაგოგთა რეკომენდაციის საფუძველზე, რომლებიც წარმოადგენდნენ შეფასების ობიექტს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
სკოლის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, რომ დაწესებულება გეგმავდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებას და გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2024 წლის 25 აგვისტო. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმში“- ის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1000 - ით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:25
დასრულების დრო: 16:30

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-11 პუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად შპს - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმი - ს (ს/კ: 445740075) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1000 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:
აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია 2024 წლის 25 აგვისტო.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. ბათუმი, ვახტანგ შამილაძის ქუჩა N30
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. ბათუმი, ვახტანგ შამილაძის ქუჩა N30
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. ბათუმი, ვახტანგ შამილაძის ქუჩა N30

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებას განუსაზღვრა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამის პერიოდში 3.4 კომპონენტთან მიმართებით განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შეთანხმებისთანავე დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2. სსიპ-ქალაქ ახმეტის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თინათინ ალავიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ახმეტის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 27 და 28 ივნისს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ახმეტაში, ყაზბეგის ქუჩა N 35-ში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 800 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 800- მოსწავლისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 სტანდარტის (სასკოლო კურიკულუმი) დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეფასებული იყო როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები კი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომლის მოთხოვნაც ”მეტწილად“ იყო დაკმაყოფილებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. ასევე, დასკვნა მოიცავდა ექსპერტთა მიერ გაცემულ რჩევებს.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ ორიენტირებული იყო განვითარებაზე, გამოირჩეოდა მაღალი თანამშრომლობითი კულტურითა და გაზიარებული პასუხისმგებლობებით, სკოლა ასევე საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობდა პროფესიული განათლების პროგრამებს და ყურადღებას უთმობდა არაფორმალურ განათლებას, საგანმანათლებლო თუ სოციალურ პროექტებს.

ექსპერტმა ასევე გააზიარა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულება საჭიროებდა სარემონტო სამუშაოებს, თუმცა, არსებული ინვენტარი იყო მოვლილი და სუფთა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის მისია არ იყო ენობრივად გამართული და მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, გამოესწორებინათ აღნიშნული. საბჭოს წევრმა, ასევე მიმართა ექსპერტებს, წარმოედგინათ მეტი დეტალი მეორე სტანდარტის შეფასებასთან მიმართებით.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ლელა კაკაშვილმა, განაცხადა, რომ მეორე სტანდარტში ფიქსირდებოდა ხარვეზები, რასთან დაკავშირებითაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რჩევები და რეკომენდაციები, როგორც ზეპირსიტყვიერად, ასევე რიგი მათგანი

დაფიქსირებული იყო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაშიც. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა მეთორმეტე კლასზე, სადაც გარკვეული კურიკულუმები არ იყო წარმოდგენილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-ქალაქ ახმეტის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:45
დასრულების დრო: 16:55

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად, სსიპ-ქალაქ ახმეტის N2 საჯარო სკოლას (ს/კ:224628204) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ახმეტა, ყაზბეგის ქუჩა N 35
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ახმეტა, ყაზბეგის ქუჩა N 35
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ახმეტა, ყაზბეგის ქუჩა N 35

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:
საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის აგვისტოში 3.4 კომპონენტთან მიმართებით, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

- **მონიტორინგიექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის აგვისტოდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) სტანდარტი.

3. სსიპ-შოთა რუსთაველის სახელობის ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ტარიელ კალანდაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ-შოთა რუსთაველის სახელობის ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 01 და 02 ივლისს. სკოლა მდებარეობდა ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 120 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლა შეძლებდა შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 120 მოსწავლისთვის, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი სასწავლო პროცესი წარიმართებოდა ორ ცვლაში, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა საკმარისი რაოდენობის სასკოლო მერხი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ტარიელ კალანდაძემ ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის

ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომლის მოთხოვნაც „მეტწილად“ ან „ნაწილობრივ“ იყო დაკმაყოფილებული, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. ასევე, დასკვნა მოიცავდა ექსპერტთა მიერ გაცემულ რჩევებს.

ექსპერტმა, ტარიელ კალანდაძემ, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ პედაგოგებს ჰქონდათ სიახლეების მოძიების, გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობის საუკეთესო პრაქტიკა. სკოლაში განხორციელებული იყო სასწავლო პროექტები ეროვნული სასწავლო გეგმის ექვსი პრიორიტეტული მიმართულების შესაბამისად. სკოლას კარგი გამოცდილება ჰქონდა არაფორმალური განათლების მიმართულებით. მუშაობდა სხვადასხვა კლუბი, მაგალითად კლუბი ,,სმურფი“ , რომელსაც გამოყოფილი ჰქონდა ცალკე სივრცე, კლუბმა განახორციელა პროექტები ,,წიგნის სურნელი“, ,,პაემანზე დამპატიჟა სიბერემ“, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა და სხვა. ექსპერტის განცხადებით მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სოფლის თემი იყო მრავალფეროვანი, ვინაიდან ცხოვრობდა საქართველოს ძირითადად სამი რეგიონის (აჭარა, მთიანეთი, მესხეთი) მოსახლეობა. შესაბამისად, სკოლა ყველა აქტივობას, პროექტს ახორციელებდა აღნიშნული რეალობიდან გამომდინარე. პედაგოგიური კოლექტივი თვლიდა, რომ სოფელში მრავალფეროვანი თემის მშვიდობიანი თანაცხოვრება იყო სკოლის მიზანმიმართული საქმიანობის შედეგი.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა ჰქონდა თუ არა სკოლას რაიმე გეგმა მერხების რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით, რაც თავიდან აარიდებდა სასწავლო პროცესის ორ ცვლაში განხორციელებას.

ექსპერტმა, ტარიელ კალანდაძემ, განაცხადა, რომ სკოლა ამ ეტაპზე იყო სრული რეაბილიტაციის მოლოდინში, რომლის შემდეგაც უზრუნველყოფილი იქნებოდა საჭირო რაოდენობის მერხებით.

სკოლის დირექტორმა, დალი დიასამიძემ, დამატებით განაცხადა, რომ სკოლას ჯამში ჰქონდა 80 სასკოლო მერხი და ამასთან დაწესებულებას 70 მოსწავლეზე მეტი არასდროს არ ჰყოლია, თუმცა, თუ მოსწავლეთა რაოდენობა გაიზრდებოდა, სკოლა უზრუნველყოფდა სასწავლო პროცესის წარმართვას ორ ცვლაში იქამდე, სანამ საჭირო რაოდენობის მერხებს შეიძენდნენ.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, განაცხადა რომ სკოლის ანგარიშზე არსებული საბიუჯეტო ნაშთი შეადგენდა 35 000 ლარს, მაშინ როცა SWOT ანალიზის მიხედვით, დაწესებულების სუსტ მხარეს წარმოადგენდა შენობის ინფრასტრუქტურა. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ დაგეგმეს ან განახორციელეს რაიმე სახის ინფრასტრუქტურული პროექტი სკოლის სუსტი მხარის გამოსასწორებლად.

სკოლის დირექტორმა, დალი დიასამიძემ, განაცხადა, რომ ვინაიდან ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიას უკვე წარდგენილი ჰქონდა სკოლის სრული რეაბილიტაციის პროექტი და ახლო მომავალში ელოდებოდნენ მის განხორციელებას, სკოლას ბოლო ორი წლის განმავლობაში არ დაუგეგმავს მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები, გარდა მცირე კოსმეტიკური რემონტისა.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, განაცხადა რომ სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებული ფოტოს მიხედვით, სკოლის შესასვლელში არ იყო პანდუსი. საბჭოს წევრმა ექსპერტს სთხოვა სკოლის ინკლუზიურ გარემოსთან დაკავშირებით წარმოედგინა მეტი დეტალი.

ექსპერტმა, ტარიელ კალანდაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა რესურს ოთახი თუმცა, სკოლის შესასვლელი არ იყო ადაპტირებული და საჭიროებდა პანდუსის მოწყობას. ექსპერტის განცხადებით, სკოლა შესაბამისობის გეგმის თანახმად, რომელსაც ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის წერილიც ახლდა, უზრუნველყოფდა აღნიშნული საკითხის მოგვარებას.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, აღნიშნა რომ კურიკულუმებში საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით მოცემული იყო კომპლექსური დავალება სათაურით: „ ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა გვაქვს უთვალავი ფერითა“. საბჭოს წევრმა მიმართა ექსპერტს, დაეზუსტებინა რა შინაარსს ატარებდა აღნიშნული დავალება.
საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტმა, ინგა მოსიძემ, აღნიშნა, რომ მასწავლებელთა განმარტებით, მოცემული კომპლექსური დავალება ეხმიანებოდა თემში არსებულ მრავალფეროვნებას. ექსპერტის განცხადებით, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც აღინიშნა, რომ მოცემული სათაური არ ემთხვეოდა დავალების შინაარსს და გაიცა რჩევა, დაეხვეწათ აღნიშნული.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენად ასახავდა სასკოლო პროექტები თემის მრავალფეროვნებას და ხომ არ ახორციელებდა სკოლა რაიმე სახის სათემო პროექტს.
ექსპერტმა, ტარიელ კილაძემ, აღნიშნა, რომ სკოლა ნამდვილად ახორციელებდა სათემო პროექტებსა და ღონისძიებებს სხვადასხვა მიმართულებით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო: 17:15
დასრულების დრო: 17:20

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 9
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ-შოთა რუსთაველის სახელობის ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა შესაბამისი ინკლუზიური გარემო.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად სსიპ-შოთა რუსთაველის სახელობის ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლას (ს/კ: 223102700) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმ	ზოგადსაგანმა	

	პროგრამის სახელწოდება	ანათლებლო პროგრამის საფეხური	ნათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი რუსთავი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი რუსთავი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი რუსთავი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:
საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის აგვისტოში 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის, სკოლის ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით აღჭურვის და პანდუსის მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის აგვისტოდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები -მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) სტანდარტი

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მეორე სტანდარტის მონიტორინგთან დაკავშირებით განმარტა, რომ საბჭოს გადაწყვეტილებითა და მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე სკოლა კურიკულუმებთან დაკავშირებით საჭიროებდა მეტ კონტროლსა და ძალისხმევას.

4. სსიპ- ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ჯაშმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ- ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 27 და 28 ივნისს. სკოლა მდებარეობდა ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფელ მთისძირში, პირველი ქუჩა N98-ში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 300. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 300 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლაში შექმნილი იყო პოზიტიური და თანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემო. სკოლის პრიორიტეტი იყო გარემოზე ზრუნვა და ამ მიმართულებით ახორციელებდა სხვადასხვა პროექტს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლელა ჯაშმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“; მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის თქმით, სკოლას მიეცა რჩევები და რეკომენდაციები, რომელიც დეტალურად აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლა აღჭურვილი იყო ყველა საჭირო ინვენტარითა და მატერიალური რესურსით.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა ექსპერტებს, დაეზუსტებინათ რამდენად გამართული იყო დაწესებულების კურიკულუმები.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივმა ექსპერტმა, ლელა მანგოშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას ნამდვილად ჰქონდა სტანდარტთან შესაბამისი კურიკულუმები, თუმცა გარკვეული რჩევები მაინც გაიცა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, ადასტურებდნენ თუ არა, რომ სკოლის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მისია და ხედვა ნამდვილად სსიპ-ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლის იყო.

სკოლის დირექტორმა, ნანა მამუკაშვილმა დაადასტურა, რომ სკოლის ვებ-გვერდზე წარმოდგენილი მისია და ხედვა ნამდვილად სკოლის იყო, ხოლო ახალი სასწავლო წლიდან იგეგმებოდა აღნიშნულის რევიზია და დახვეწა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენასსიპ- ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:35
დასრულების დრო: 17:45

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად სსიპ- ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირის საჯარო სკოლას (ს/კ: 241557846) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი მთისძირი, 1-ლი ქუჩა, N98
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი მთისძირი, 1-ლი ქუჩა, N98
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი მთისძირი, 1-ლი ქუჩა, N98

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:
საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის აგვისტოში 3.5 კომპონენტთან მიმართებით, ადაპტირებული ინფრასტრუქტურის (პანდუსის მოწყობის) მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

5. სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სიმონეთის N2 საჯარო სკოლის ავტორი ზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნესტან სიხარულიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სიმონეთის N2 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 20 და 21 ივნისს. სკოლა მდებარეობდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სიმონეთში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა 250 იყო. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 250 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ნესტან სიხარულიძემ, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა მაღალი თანამშრომლობითი კულტურა და მუდმივად ზრუნავდნენ სკოლის გარემოზე.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნესტან სიხარულიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის თქმით, სკოლას მიეცა რჩევები და რეკომენდაციები, რომელიც დეტალურად აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, სკოლას ჰქონდა რესურს-ოთახი, საბუნებისმეტყველო

მეცნიერებების ლაბორატორია, რომელიც საჭიროებდა დამატებით მატერიალურ რესურსებს და პროფესიის ათვისების მიზნით გამოყოფილი ჰქონდა სივრცე, რომელიც აღჭურვილი იყო საკერავი მანქანებით. ამ მიმართულებით მემორანდუმი გაფორმებული ჰქონდა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და კვალიფიციური კადრი, გაწერილი გრაფიკით, სკოლაში ადგილზე ვიზიტით, ახორციელებდა მოსწავლეთა ცოდნის ამაღლებას პროფესიული მიმართულებით.
18:00 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი.
სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამაზე რა ვითარება იყო პროექტული სწავლების მიმართულებით.
ესთეტიკური აღზრდის ექსპერტის, სალომე არაბიძის განმარტებით, სკოლას ჰქონდა ინდივიდუალურად შექმნილი კურიკულუმები და განხორციელებული ჰქონდათ პროექტები სხვადასხვა მიმართულებით.
საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის, ნინო გავაშელის, განმარტებით მე-11 კლასში განხორციელებული ჰქონდათ პროექტი აზარტული თამაშების შესახებ, ასევე, მე-10 კლასში განხორციელებული პროექტები ეხებოდა ხანდაზმულებისა და მეწარმეთა მხარდაჭერას.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის ვებ-გვერდზე ატვირთული სკოლის მისია არ იყო თანხვედრაში სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულ მისიასთან და მიმართა სკოლის წარმომადგენელს, განემარტა რა იყო აღნიშნულის მიზეზი. ასევე, დაწესებულების წარმომადგენელს მისცა რჩევა, საათობრივი ბადის შექმნისას ეხელმძღვანელათ კანონმდებლობის მოქმედი რედაქციით.
სკოლის დირექტორის, თინათინ ბეჟაშვილის განმარტებით, ვებ-გვერდზე ატვირთული იყო სწორი დოკუმენტაცია, ხოლო ცენტრში გადმოგზავნილ დოკუმენტებს ჰქონდათ ტექნიკური ხარვეზი.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სიმონეთის N2საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო: 18:05
დასრულების დრო: 18:15

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სიმონეთის N2 საჯარო სკოლას (ს/კ: 232004826) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა სიმონეთი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა სიმონეთი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა სიმონეთი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის აგვისტოდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) სტანდარტი.
18:17 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია.

6. სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ილიაწმინდას საჯარო სკოლის ავტორიზაციის სა კითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების

მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მერი ქვრივიშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ილიაწმინდას საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 17 და 18 ივნისს. სკოლა მდებარეობდა სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფელ ილიაწმინდაში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა 100 იყო. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 100 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ კათედრის ფარგლებში მასწავლებლები ერთად მუშაობდნენ საგნობრივ კურიკულუმებზე და ერთმანეთს უზიარებდნენ გამოცდილებას. ასევე, თანამშრომლობდნენ სხვა საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლებთან და გეგმავდნენ ერთობლივ გაკვეთილებსა და პროექტებს. ასევე, სკოლაში მუდმივად ტარდებოდა სხვადასხვა სახის არაფორმალური აქტივობები, რაც ხელს უწყობდა, როგორც სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში, ასევე მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების განვითარებას. ექსპერტის თქმით, სკოლაში იგრძნობოდა თანამშრომლობითი ორგანიზაციული კულტურა და წახალისებული და დაფასებული იყო სკოლის პერსონალის საქმიანობა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მერი ქვრივიშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ლი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, „მეტწილი“ შესაბამისობით შეფასდა მე-2 სტანდარტის საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები. ექსპერტის თქმით, სკოლას მიეცა რჩევები და რეკომენდაციები, რომელიც დეტალურად აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლის გარე პერიმეტრი კეთილმოწყობილი იყო, ხოლო შიდა სივრცეები საჭიროებდა სარემონტო სამუშაოებს. ასევე ისეთი საერთო სარგებლობის სივრცეები, როგორიც იყო, ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორია, განთავსებული იყო მეორე სართულზე, ვინაიდან, სკოლაში არ იყო მოწყობილი პანდუსი, აღნიშნული სივრცეებით სარგებლობის საშუალება არ ჰქონდათ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებს.

სკოლას ჰქონდა სრულად აღჭურვილი კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა, ასევე, რესურს-ოთახი.

ექსპერტის თქმით, სკოლას ჰქონდა სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის პრაქტიკა, ჰყავდა სპეციალური მასწავლებელი, რომელმაც იცოდა ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებები,

ფლობდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან მუშაობის ტექნიკას და მუშაობდა როგორც მრჩეველი ბავშვებთან, პედაგოგებთან და მშობლებთან. .
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა, რა გამოარჩევდა სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს სამოქალაქო განათლების სწავლების მიმართულებით.
საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის, თამარ ცხადაიას განმარტებით, სამოქალაქო განათლების კურიკულუმები გამართული იყო, გაწერილი იყო კომპლექსური დავალებები და სამიზნე ცნებები, ასევე, სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა განხორციელებული პროექტების დამადასტურებელი მასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შეფასების რუბრიკებს ესაჭიროებოდა რევიზია და დახვეწა.
უცხოური ენების საგნობრივმა ექსპერტმა, სალომე ზარქუამ, აღნიშნა, რომ სასკოლო საზოგადოება აქტიურად იყო ჩართული სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარებაში, გარდა ამისა, აღნიშნა, რომ სკოლა პროექტს ახორციელებდა ბანგლადეშის სკოლებთან თანამშრომლობით, კერძოდ, უცხოური ენის კათედრა ბანგლადეშის სკოლებში ატარებდა გაკვეთილებს კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების გამოყენებით, მათ შორის იყო ქართული ენის სწავლებაც.
სკოლის დირექტორმა, ნათია ცისკარაულმა, განმარტა, რომ ბანგლადეშის სკოლის მე-4 და მე-6 კლასებში, ონლაინ რეჟიმში ტარდებოდა გაკვეთილები და ახორციელებდნენ სხვადასხვა პროექტს, მათ შორის კულტურული მიმართულებითაც.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ილიაწმინდას საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100 - ით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 18:35
დასრულების დრო: 18:40

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 9
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ილიაწმინდას საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა შესაბამისი ინკლუზიური გარემო.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად, სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ილიაწმინდას საჯარო სკოლას (ს/კ: 240393098) 9 წლის ვადით

მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფელი ილიაწმინდა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფელი ილიაწმინდა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფელი ილიაწმინდა

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის აგვისტოში 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, შენობა-ნაგებობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, სკოლის ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით აღჭურვის, მედიკამენტების შეძენისა და პანდუსის მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, ხოლო 2025 წლის აგვისტოში 2.1 კომპონენტთან მიმართებით საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა.

7. სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ წიწკანაანთსერის საჯარო სკოლის ავტორიზაციი ს საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან

მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, რაინდი როდონაიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ წიწკანაანთსერის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 01 და 02 ივლისს. სკოლა მდებარეობდა ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფელ წიწკანაანთსერში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა 80 მოსწავლეზე იყო მოთხოვნილი. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 80 მოსწავლისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რაინდი როდონაიამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ლი (სკოლის ფილოსოფია) სტანდარტი და მე-2 სტანდარტის (სასკოლო კურიკულუმი) საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მე-2 სტანდარტის დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა და მე-4 სტანდარტი (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა როგორც „ნაწილობრივ“ შესაბამისად. ექსპერტის თქმით, სკოლას მიეცა რჩევები და რეკომენდაციები, რომელიც დეტალურად აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები არ ჩატარებულა 2011 წელის შემდეგ და სკოლის შენობას ესაჭიროებოდა რემონტი. დაწესებულებას ჰქონდა შიდა და გარე სპორტული მოედანი, რომელიც ასევე საჭიროებდა რეაბილიტაციას, სკოლაში იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და კომპიუტერული ლაბორატორიები, თუმცა, ექსპერტის თქმით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია არ იყო სრულად აღჭურვილი, ასევე, ექსპერტის თქმით, მეორე სართულზე ასასვლელ კიბეს არ ჰქონდა პანდუსი.

ექსპერტმა, რაინდი როდონაიამ, აღნიშნა, რომ სოფლის დასახლებულთა დიდი ნაწილი ოსური წარმოშობისაა და შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, დაწესებულებაში ისწავლებოდა ოსური ენა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, მაკა მამფორია დაინტერესდა, გეგმავდა თუ არა სკოლა სარემონტო სამუშაოებს.

სკოლის დირექტორის, ნანა ნინიაშვილის, განმარტებით, სკოლას ეტაპობრივად, საკუთარი რესურსებით უტარდებოდა სარემონტო სამუშაოები, ხოლო იმ ინფრასტრუქტურული პრობლემების აღმოსახვრელად, რასაც თავად ვერ უზრუნველყოფნენ, აქტიურად მიმართავდნენ ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს. გარდა ამისა, სკოლის დირექტორის თქმით, სსსმ მოსწავლეების სწავლის პროცესი არ ფერხდებოდა, ვინაიდან რესურს-ოთახი მდებარეობდა პირველ სართულზე.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ წიწკანაანთსერის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 80 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო: 18:50
დასრულების დრო: 18:55

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად, სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ წიწკანაანთსერის საჯარო სკოლას (ს/კ: 241572525) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 80 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი წიწკანაანთსერი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი წიწკანაანთსერი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:
საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის აგვისტოში 3.5 კომპონენტთან მიმართებით, პანდუსის მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, ხოლო 2025 წლის აგვისტოში 1.2; 2.1 და 2.2

კომპონენტებთან მიმართებით სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის განახლებული დოკუმენტის, საგნობრივ კურიკულუმებში ცვლილებისა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვის დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოდგენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 19:00 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა